

სასათბურე მეურნეობის ბიზნესმოდელი

პროექტის ფარგლებში მომზადებული ბიზნეს მოდელი გამოყენებული იქნება ახალი ინვესტორების მოზიდვის და სასათბურე მეურნეობის როგორც მომგებიანი ბიზნესის პოპულარიზაციის მიზნით. საინვესტიციო მოდელში გამოყენებული ინფორმაცია მომზადებული როგორც მეორადი წყაროების, ასევე, დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების და ინტერვიუების ჩატარების შედეგად.

I. კვლევის სტრუქტურა

წინასიტყვაობა რეზიუმე მეთოდოლოგია	
ბიზნეს მოდელის მომზადება	წარმოების ტექნოლოგია და სახარჯი მასალები (პროდუქტების მიხედვით) • ადგილმდებარეობა • სასათბურე მეურნეობის სტრუქტურა • კლიმატური პირობები • გათბობის სისტემა • ირიგაციის სისტემა • განათება და დამცავი ეკრანი • მცენარეთა დაცვა • მოსავლის აღება და დაფასოება საინვესტიციო გეგმა • ინვესტიციება • ბრუნვა • ინვესტიციებზე უკუგების კოეფიციენტი პროდუქტების მიხედვით

i. ბიზნეს მოდელის მომზადება

წარმოების ტექნოლოგიები და სახარჯი მასალები

ამ ნაწილში კონსულტანტი აღწერს სასათბურე მეურნეობის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მოდელი ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1 ჰა სასათბურე მეურნეობის მოწყობას, სადაც იწარმოება არასეზონური ბოსტნეული, კერძოდ, პომიდორი, კიტრი და ტკბილი წიწაკა. მოდელის ფარგლებში დამატებით განხილული იქნება მარწყვის თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმოების შესაძლებლობა, რაც კომერციული მასშტაბით დახურულ გრუნტში საქართველოში არ განხორციელებულა. ბიზნეს მოდელში მოცემულია ის კრიტერიუმები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სასათბურე მეურნეობის ადგილმდებარეობა, კლიმატური პირობების გათვალისწინებით. პროექტში დეტალურადაა აღწერილი გათბობის ალტერნატიული სისტემები კერძოდ გაზის, ქვანახშირის და თხილის ნაჭუჭის გამოყენების შესაძლებლობა და თითოეულთან დაკავშირებული დანახარჯები. პროექტი, აგრეთვე, მოიცავს სათბურის სტრუქტურასთან, განათებასთან, ირიგაციასთან და სხვა ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხებს. პროექტში დეტალურად იქნება აღწერილი

წარმოების ტექნოლოგიები დაწყებული ჩითილების შეძენით, დარგვით, მცენარეთა დაცვით და დამთავრებული მზა პროდუქციის დაფასებით.

ii. საინვესტიციო გეგმა

საინვესტიციო გეგმაში დეტალურადა აღწერილი პროექტის თითოეულ ეტაპზე საჭირო ფინანსური რესურსების რაოდენობა. ამავე დროს ფინანსური ნაწილი მოიცავს საოპერაციო და ფიქსირებულ დანახარჯებს და გაყიდვებს თვეების მიხედვით. საინვესტიციო გეგმაში, ასევე, მოცემულია ინვესტიციებზე უკუგების კოეფიციენტები 10 წლიანი პერიოდის მიხედვით.

iii. კვლევის პროცესის აღწერა

კვლევა ჩატარდება შემდეგი გეგმის მიხედვით: მეორადი ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი, მეორად წყაროებში არ არსებული ინფორმაციის მიღების მიზნით გამოკითხვების და ინტერვიუების ჩატარება სავსე გასვლებით.

1. მეორადი ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი:

- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ან კვლევითი ინსტიტუტების მიერ წინა წლებში შეგროვილი ყველა არსებული მასალის შეკრება და მათ მიერ ჩატარებული კვლევების დეტალური შედეგების გაცნობა;
- ინტერნეტით ხელმისაწვდომი ყველა მონაცემისა და ინფორმაციის შეგროვება (მათ შორის: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, მსოფლიო ბანკის, სამინისტროების და სექტორული კომპანიების ვებ-გვერდებიდან);
- ბაზრის არსებული სიტუაციის შესწავლა: ზომა, მოცულობა, კონკურენცია, რესურსების ხელმისაწვდომობა, ადგილობრივი მოთხოვნა და მიწოდება, ექსპორტ-იმპორტის მონაცემები და ა. შ.;
- ქვესექტორში, ღირებულებათა ჯაჭვში ჩართული ყველა მოთამაშის აღწერა (მასალების და მომსახურების მომწოდებლები, მწარმოებლები, საცალო მოვაჭრეები);
- ქვესექტორებში ღირებულების ჯაჭვის მხარდამჭერი ინსტიტუტების შესახებ ინფორმაციის მოპოვება (სამთავრობო ორგანოები, დონორი ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ბიზნეს ასოციაციები).

2. პირველადი ინფორმაციის მოპოვება სავსე გასვლებით, რა დროსაც კონსულტანტი აგროვებს ქვესექტორის შესახებ სპეციფიკურ მონაცემებს:

- ინტერვიუ ღირებულებათა ჯაჭვის მოთამაშეებთან (მასალების მომწოდებლები - საბითუმო და საცალო სარეალიზაციო ქსელები);
- ხარისხობრივი მონაცემების შეგროვება: ბაზარზე არსებული შეზღუდვების იდენტიფიცირება და მათი გავლენის შეფასება. სხვა საკითხების იდენტიფიცირება და ინტერესებული მხარეებისგან;
- ინტერვიუები და ინტერესებულ მხარეებთან (სახელმწიფო ორგანოები, დონორი ორგანიზაციები, საფინანსო ინსტიტუტები) - მიმდინარე და დაგეგმილი მხარდამჭერი პროგრამების ანალიზი, ფინანსური სექტორის დამოკიდებულების განსაზღვრა აღნიშნული სექტორის დაფინანსების თვალსაზრისით (საპროცენტო განაკვეთები, საგირავნო მოთხოვნები, პროცედურები).

II. რეზიუმე

i. საინვესტიციო მიმზიდველობა

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ოთხი პროდუქტის საინვესტიციო მიმზიდველობის და ფინანსური უკუგების შესაძლებლობება საუკეთესო სასათბურე პროდუქციის დადგენის მიზნით. ტრადიციული სასათბურე ბოსტნეულის ჩამონათვალს დაემატა ადგილობრივი წარმოებისთვის ახალი პროდუქტები: კერძოდ, ტკბილი წიწაკა და მარწყვი. მიუხედავად იმისა, რომ ღია გრუნტზე ამ ბოსტნეულის და კენკრის წარმოება საკმაოდ კარგად არის განვითარებული საქართველოში, დახულული გრუნტის პირობებში მათი მოყვანა ფაქტიურად არ ხორციელდება (მცირე გამონაკლისების გარდა). საქართველოში არსებული სასათბურე მეურნეობების 80% მუშაობს პომიდორზე, 15% კიტრზე, დანარჩენი 5% კი ნაწილდება სხვადასხვა სახის ბოსტნეულზე, სალათებზე და კენკრაზე. ამავე დროს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პომიდორის და კიტრის შემთხვევაში ადგილობრივი მწარმოებლები თურქი მწარმოებლების პირდაპირი კონკურენტები არიან. თუმცა, მოხმარების მასშტაბებიდან გამომდინარე ორივე პროდუქტი ხასიათდება სტაბილური მოთხოვნით. მათგან განსხვავებით შედარებით ნაკლები რაოდენობებით (6000 ტონამდე ყოველწლიურად) ხასიათდება ტკბილი წიწაკის არასეზონური მოხმარება. რაც შეეხება მარწყვს, დღეს არსებული საცალო და საბითუმო ფასებიდან გამომდინარე არასეზონური მოხმარება ქვეყნის მასშტაბით 100-150 ტონას არ აღემატება.

სასათბურე მეურნეობაში ინვესტიციების განხორციელებისას ინვესტორმა უნდა გაითვალისწინოს წარმოების მასშტაბები და შესაბამისად დაგეგმოს წარმოებული პროდუქციის ასროტიმენტი და ნაირსახეობა. მოდელში მოცემულია 1 ჰა სასათბურე მეურნეობის ფინანსური გათვლები. ამ მასშტაბის პირობებში უმჯობესია ერთ რომელიმე კულტურაზე სპეციალიზაცია, 3 ჰექტარზე მეტი ფართობის სათბურის პირობებში შესაძლებელია ორი ან მაქსიმუმ სამი სახის პროდუქტის მოყვანა, მაგრამ ამ პირობებშიც აუცილებელია წამყვანი პროდუქტის იდენტიფიცირება, რაზეც მოხდება მეურნეობის წარმადობის მინიმუმ 60-70% მობილიზაცია. ინვესტორმა აუცილებელია შეაფასოს კვლევაში მოცემული თითოეული პროდუქტის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები და სწორედ ამის შემდგომ მოახდინოს წარმოების სტრატეგიული დაგეგმვა. ქვემოთ მოცემულია თითოეული პროდუქტის დადებითი და ურყოფი მხარეების დახასიათება.

ii. პომიდორი

ადგილობრივი მწარმოებლები ყველაზე მეტად სწორედ პომიდორის წარმოების მიმართულებით სპეციალიზდებიან. ამ პროდუქციის უპირატესობა პომიდორის წამროების ტექნოლოგიის მცოდნე სპეციალისტების ხელმისაწვდომობა, ასევე, საქართველოს და, კერძოდ, აჭარის პირობებში დარაიონებული ჯიშების იდენტიფიცირებაა. ამ მხრივ, აღსანიშნავია ადგილობრივი სპეციალისტების (აგრონომების და მცენარეთა დამცველების) მაღალი მომზადების დონე. ჩითილების გამოყვანის ტექნოლოგიებიც კარგად არის განვითარებული, მათ შორის, ისეთი თანამედროვე მიდგომები, როგორიცაა ჩითილის მცნობა. თანამედროვე სასათბურე ტექნოლოგიის დანერგვის შემთხვევაში, ინვესტორს თავისუფლად შეუძლია ჰექტრული მოსავლიანობის 300 ტონამდე აყვანა და სტაბილური წარმოების ორგანიზება. რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია სარეალიზაციო არხები და მაღალი კონკურენცია. ეს უმთავრესად გამოწვეულია მეზობელ ქვეყანაში არსებული წარმოების მასშტაბებით, რომლებიც პომიდორის შემთხვევაში 10,000 ჰექტარს (დახურული გრუნტი)

ადმატება. საქართველოს შემთხვევაში თურქეთი არის ფასის განმსაზღვრელი მიხედვად იმისა, რომ ის ახორციელებს სულ სხვა ჯიშობრივი და ორგანოლეპტიკური პროდუქციის იმპორტს საქართველოში. ადგილობრივ სასათბურე მეურნეობებში ადგილი დაიძვინდობდა ღია გრუნტში არსებული ჯიშების მსგავსმა პროდუქციამ. სწორედ ამის ხარჯზე ახდენენ მწარმოებლები თავიანთი პროდუქციის დეფერენციაციას და პრემიუმ ფასებში მათ რეალიზაციას (განსხვავება ერთი ტონის შემთხვევაში 500-დან 1000 ლარამდეა). ინვესტორის მიერ პომიდორის, როგორც წამყვანი პროდუქტის შერჩევა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ წარმოების მოცულობა დიდია და ისმასშტაბის ეკონომიის მიღწევის საშუალებას იძლევა. რაც შეეხება წარმოების დანახარჯებს, ერთ კილოგრამზე ის 1,6 ლარს უდრის. ინვესტიციებზე უკუგების კოეფიციენტი 7- წლიანი საინვესტიციო პერიოდის გათვალისწინებით 22%-ს აღწევს. სარეალიზაციო ბაზრების მხრივ ადგილობრივი წარმოების პომიდორის გასაღება პირდაპირ კავშირშია სარეალიზაციო ფასთან. კონსულტანტის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა რომ 3 ლარის და უფრო მაღალი საბითუმო ფასის შემთხვევაში სასათბურე მეურნეობების წარმოებული პროდუქცია იყიდება საცალო სავაჭრო ქსელებში და ჰიპერმარკეტებში. სეზონის ბოლოს 3 ლარზე დაბალი ფასის პირობებში სარეალიზაციო არხებს ემატება აგრარული ბაზრები და საბითუმო ბაზები.

iii. კიტრი

კიტრის შემთხვევაშიც მეზობელი თურქეთი გამოირჩევა იმპორტის მაღალი მაჩვენებლებით, რომელიც წელიწადში 7,000 ტონას აღწევს. დოლარის კურსის ბოლოდროინდელმა ცვლილებამ გამოიწვია იმპორტულ პროდუქციაზე ფასების მატება, რაც პირველ რიგში სწორედ კიტრზე აისახა. ადგილობრივი მწარმოებლები და აგრონომები კარგად სპეციალიზირდებიან კიტრზე, რაც ინვესტიციის შემთხვევაში კადრებით უზრუნველყოფის საკითხს ხსნის. ადგილობრივი მწარმოებლები აქაც იყენებენ საქართველოში პოპულარულ კიტრის ჯიშურ თავისებურებებს, მაგალითად უმეტესი მათგანი აწარმოებს ე.წ. შუშა კიტრს, რომელიც მინიმუმ 1000-1500 ლარის სხვაობით (1 ტონაზე) იყიდება თურქულ პროდუქციასთან შედარებით. პომიდორთან შედარებით, კიტრის წარმოების მეორე უპირატესობაა მისი შედარებით დაბალ ტემპერატურაზე მოყვანის შესაძლებლობა, რაც დადებითად აისახება ერთეული პროდუქციის თვითღირებულებაზე. რა თქმა უნდა, მას გააჩნია უარყოფითი მხარეებიც, მაგალითად, კიტრი მიდრეკილია ვირუსული და სოკოვანი დაავადებებისადმი, ამიტომ აუცილებელია მცენარეთა დაცვის კარგად ორგანიზება და მაღალი ხარისხის პრეპარატების უტილიზაცია, რაც აისახება პროდუქციის თვითღირებულებაზე. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ დახურული გრუნტის კიტრი საკმაოდ მოკლე სეზონით ხასიათდება. საქმე იმაშია რომ მაისიდან ადგილობრივ ბაზარზე შემოდის ლაგოდების ე.წ. ტუნელებში წარმოებული პროდუქცია, რომელიც ფასს აგდებს ერთ ლარზე დაბლა და, შესაბამისად, კიტრის სათბურში მოყვანა აზრს კარგავს. ამავე დროს, პომიდორის შემთხვევაში ტუნელებში წარმოებული პროდუქცია ბაზარზე მხოლოდ ივნისის ბოლოს იწყებს შემოსავლას. კიტრი წარმოების დანახარჯები ერთ კილოგრამზე გადაანგარიშებით 1,2 ლარს შეადგენს და 7 წლიანი საინვესტიციო პერიოდის შემთხვევაში ინვესტიციებზე უკუგების კოეფიციენტი 13% არ აღემატება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პომიდორთან შედარებით კიტრი საკმაოდ დაბალმოსავლიანია. კიტრის წარმოება ხშირ შემთხვევაში ადგილობრივ ბაზარზე არსებული პომიდორის თანამდევი პროდუქტის იმიჯით არის განპირობებული. სარეალიზაციო ქსელები პომიდორის მომწოდებლებისგან ასორტიმენტის მიზნით მოითხოვენ კიტრს. სწორედ ამ მიზნით, მეურნეობა იძულებულია გარკვეული მცირე ფართობი მაქსიმუმ წარმადობის 15% დაუთმოს ამ კულტურას. სარეალიზაციო არხების შემთხვევაში მსგავსებაა პომიდორსა და კიტრს შორის. ფასების მიხედვით მათი სეზონური

გადანაწილება ხდება საცალო სავაჭრო ქსელებს/ჰიპერმარკეტებს და აგრარულ/საბითუმო ბაზრებს შორის.

iv. ტკბილი წიწაკა

ტკბილი წიწაკის დახურულ გრუნტში წარმოება ფაქტიურად არ ხდება. ეს გამოწვეული წარმოების ტექნოლოგიებთან და ჯიშებთან დაკავშირებული ცოდნის და სპეციალიზაციის არქონით. სწორედ ამ ფაქტორით შეიძლება ისარგებლოს პოტენციურმა ინვესტორმა და მაღალკვალიფიციური უცხოელი სპეციალისტების და ადგილობრივი აგრონომების მეშვეობით დაიწყოს ამ პროდუქტის დახურულ გრუნტში წარმოება. ტკბილი წიწაკა საკმაოდ მზარდი მოთხოვნით და სტაბილურად მაღალი ფასით ხასიათდება მთელი არასეზონური პერიოდის განმავლობაში. საცალო ქსელებში მისი სარეალიზაციო ფასი 5 ლარის ფარგლებში მერყეობს ოქტომბრის ბოლოდან ივნისის შუა რიცხვებამდე, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია სხვა ბოსტნეულ კულტურებთან შედარებით. რეალიზაციის არხების მხრივაც ტკბილი წიწაკა თითქმის ყველა სახის სავაჭრო ქსელში მთელი სეზონის განმავლობაში თანაბარი მოთხოვნით სარგებლობს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკმაოდ მაღალი ფასი ფიქსირდება თურქეთიდან არასეზონზე იმპორტირებულ საქონელზე, რაც ადგილობრივ წარმოებას კიდევ უფრო კონკურენტუნარიანს ხდის. წარმოების დანახარჯების თვალსაზრისით წიწაკა პომიდორს უტოლდება და კილოგრამი პროდუქციის მიღებას დაახლოებით 1,6 ლარი ესაჭიროება. მოსავლიანობას რაც შეეხება, ის მკვეთრად ჩამორჩება პომიდორს და უფრო ახლოს არის კიტრთან. 7-წლიანი საინვესტიციო პერიოდის შემთხვევაში ინვესტიციაზე არსებული უკუგების კოეფიციენტი 18% შეადგენს, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. მომგებიანობის და დაბალი კონკურენციის თვალსაზრისით წიწაკა შეიძლება საკმაოდ იმედის მომცემ პროდუქტად ჩაითვალოს დახურული გრუნტის ასორტიმენტში.

v. მარწყვი

ამ ეტაპზე საქართველოში ხდება მარწყვის მხოლოდ საადრეო წარმოება და მისი არასეზონური დახურულ გრუნტში მოყვანის მაგალითების თითზე ჩამოსათვლელია. მხოლოდ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული აიპ აგროსერვის ცენტრი მცირე მასშტაბით (500 კვადრატულ მეტრზე) და ზურდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში კერძო მეწარმე (2000 კვადრატულ მეტრზე) ახდენენ პროდუქციის წარმოებას, ამასთან აიპ აგროსერვისცენტრი იყენებს მაღალტექნოლოგიურად აღჭურვილ სათბურს, ხოლო სამეგრელოს მკვიდრი ფერმერი საკმაოდ პრიმიტიული მეთოდებით აწარმოებს პროდუქტს. მარწყვის არსეზონური წარმოება საინტერესო მიმართულებაა მცირე სასათბურე მეურნეობის არსებობის პირობებში (1 ჰექტარი და ნაკლები), რადგან ადგილობრივი არასეზონური მოხმარება მხოლოდ 150-200 ტონით განისაზღვრება. ჰექტრული მოსავლიანობა სხვადასხვა ტექნოლოგიების (მათ შორის შეკიდული თაროების) გამოყენების შემთხვევაში 70-90 ტონამდე შეიძლება ავიდეს. აღსანიშნავია მარწყვის საკმაოდ მაღალი თვითღირებულება, რომელიც ჩატარებული გათვლებით კილოგრამზე 4,3 ლარს აჭარბებს. ამ ფაქტორს აბალანსებს მარწყვის არასეზონური სარეალიზაციო ფასი, რომელიც ხშირ შემთხვევაში კილოგრამზე 10 ლარს სცილდება. ამავე დროს წიწაკის მსგავსად მარწყვი თითქმის ყველა სახის სავაჭრო ქსელში შეიძლება გაიყიდოს, იმის გათვალისწინებით, რომ პროდუქტი გათვლილია მხოლოდ საშუალო და მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახებზე. 7-წლიანი საინვესტიციო პერიოდის შემთხვევაში ინვესტიციებზე უკუგების კოეფიციენტი 19% აღწევს და მცირე მასშტაბების მქონე მეურნეობისთვის საკმაოდ მომგებიან პოზიციად წარმოადგენს.

vi. სათბურის ტექნოლოგიური აღჭურვა

მინიმალური კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით აუცილებელია სათბურის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა. ყურადღება უნდა გამახვილდეს ნებისმიერ დეტალზე დაწყებული ტერიტორიის თბოიზოლაციით და დამთავრებული სათბურის გადახურვით და გათბობის სისტემით. თითოეული დეტალი მოითხოვს ყურადღებას. აუცილებელია, სათბურის აღჭურვა ისეთი სახით, რომ მას ჰქონდეს სითბოს მინიმალური დანაკარგი, რაც პირდაპირ კავშირშია ენერგიის ხარჯთან. ხშირ შემთხვევაში ინვესტორები წარმოების ხარჯების შემცირებას ცდილობენ საწვავის ეკონომიის ხარჯზე, რაც სასათბურე მეურნეობის პირობებში გაუმართლებელი და გარკვეულწილად სარისკოცაა. გასათვალისწინებელია, რომ აჭარის ტენიანი კლიმატისთვის დამახასიათებელი სველი და მძიმე თოვლი დიდ დაწოლას ახდენს სათბურის კონსტრუქციაზე. ამისათვის აუცილებელია მყარი კონსტრუქციის შერჩევა და შესაბამისი გათბობის სისტემის მონტაჟი, განსაკუთრებით არკების სანიაღვრე სისტემებთან, რაც უზრუნველყოფს თოვლის სწრაფად დნობას და დაიცავს სათბურს დაზიანებისა და ჩამოშლისაგან. ყურადღება უნდა მიექცეს საირიგაციო სისტემას, რადგან სწორედ მისი გამოყენებით ხდება ფერტიგაცია და სათბურის გამოკვება. ეფექტური შედეგის მისაღებად აუცილებელია პროექტში აღწერილი ყველა ტექნოლოგიის გამოყენება. ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით პროდუქტის ნარისახეობის მიუხედავად, საინვესტიციო თანხა მერყეობს 800,000 -1,100,000 აშშ დოლარის ფარგლებში და დამოკიდებულია ტექნოლოგიების მომწოდებელ ქვეყანაზე. ყველაზე ძვირადღირებულია ჰოლანდიური ტექნოლოგიით შექმნილი სათბურები (შუშის), მას მოსდევს ისრაელის ტექნოლოგია და სიას აგვირგვინებს თურქეთი, როგორც შედარებით იაფიანი ტექნოლოგიების მომწოდებელი ქვეყანა.

III. სასათბურე წარმოების ბიზნეს მოდელი

i. ადგილმდებარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ სასათბურე ინვესტიციისთვის შემოთავაზებული მიწის ნაკვეთებიდან შეირჩა ორი. ერთ-ერთი მათგანი მდებარეობს ქობულეთის რაიონში, დაბა ოჩხამურში არსებული ყოფილი ჩაის ფაბრიკის ტერიტორია, რომელიც განთავსებულია 3,2 ჰექტარ ფართობზე. აღნიშნული ფართობი თითქმის ყველა პარამეტრით აკმაყოფილებს საინვესტიციო მოთხოვნებს: კერძოდ, ის არის ცენტრალურ ავტომაგისტრალთან ახლოს, უშუალოდ ნაკვეთის სიახლოვეს გადის ბუნებრივი აირის მაღალი წნევის ცენტრალური მაგისტრალი, ტერიტორიას მიეწოდება ელექტრო ენერგია და მდინარე ოჩხამურიდან მარაგდება სარწყავი წყლით.

სურათი 2: სოფელ ოჩხამურში არსებული ყოფილი ჩაის ფაბრიკის ტერიტორია



მეორე ფართობი, რომელზეც შესაძლებელია მსგავსი ინვესტიციის განხორციელება მდებარეობს ქობულეთის სოფელ ბობოყვათში ყოფილი საკომანდო პუნქტის ტერიტორიაზე, რომელიც განლაგებულია 2,6 ჰექტარ ფართობზე. აღნიშნული ტერიტორიაც აკმაყოფილებს საინვესტიციო პირობებს: კერძოდ, ის არის ცენტრალურ ავტომაგისტრალთან ახლოს, უშუალოდ ნაკვეთის პირზე გადის ბუნებრივი აირის მაღალი წნევის ცენტრალური მაგისტრალი, ტერიტორიას მიეწოდება ელექტროენერგია და სარწყავი წყლითმარაგდება მდინარე დერხვადან, რომელიც სულ რამოდენიმე მეტრში ჩამოედინება.

სურათი 3: სოფელ ბობოყვათში არსებული ყოფილი საკომანდო პუნქტის ტერიტორია



ტერიტორიის შერჩევის დროს გასათვალისწინებელია ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო დამატებითი სასოფლოს სამეურნეო სავარგული. ამ შემთხვევაში ორივე ადგილს ესაზღვრება, სავარაუდოდ, კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო სამეურნეო სავარგულები, რომელთა გამოსყიდვაც ინვესტორს გარკვეული კომპენსაციის (საბაზრო ფასი) გადახდის შემთხვევაში შეეძლება (ადგილობრივ მოსახლეობასთან ან მფლობელთან მოლაპარაკების შედეგად).

IV. წარმოების ტექნოლოგია

i. სასათბურე მეურნეობის სტრუქტურა

სახურავი (Gothic) ტიპის სასათბურე კონსტრუქცია არის ხისტი და მაღალი სტრუქტურა, რომელიც ძირითადად გამოიყენება მასშტაბური პროექტის (0,3 ჰექტარი და მეტი) შემთხვევაში. სტრუქტურა შეიძლება დამზადდეს ფოლადის, ან სხვა მასალებისგან, გადახურული პოლიეთილენის, ან პოლიკარბონატის მასალით და აღჭურვილი საჩრდილობელი ეკრანით და მწერებისგან დამცავი ბადით. ამგვარი სასათბურე კონსტრუქცია შექმნილია კარგი სტაბილურობის, ოპტიმალური სინათლის და ვენტილაციის უზრუნველყოფის მიზნით. ზოგადად, ამგვარი კონსტრუქცია უზრუნველყოფს სათბურის შიდა ფართობის ოპტიმალურად

გამოყენებას. ამგვარი სათბურის მოწყობისთვის აუცილებელია კვალიფიციური პერსონალის მობილიზაცია. განსხვავებით მარტივი ტუნელის კონსტრუქციისგან მისი მშენებლობა არ ხდება ფერმერის ან მოყვარულის მიერ. სხვა მხრივ შესაბამისი ტექნოლოგიებით (გათბობის სისტემა) აღჭურვის შემთხვევაში სათბურის ამგვარ კონსტრუქციას შეუძლია საკმაოდ მკაცრ კლიმატურ პირობებში ფუნქციონირება (კონსტრუქციების მომწოდებელი კომპანიების ნუსხა მოცემულია დანართში).

ii. ჰიდროპონიკა

პომიდორის მოყვანა სტერილურ გარემოში ფართოდ დაინერგა მთელ მსოფლიოში. ამ მეთოდის გამოყენების უპირატესობა ტრადიციულ გრუნტთან შედარებით გამოიხატება მცენარისათვის წყლისა და სასუქის მიწოდების უკეთ კონტროლში, ადრეულ მომწიფებაში, ნაყოფის ხარისხის გაუმჯობესებაში, ნიადაგური მიკროფლორის განვითარების მნიშვნელოვან შემცირებაში. ცნობილია მცენარის ფესვური გამოკვების სამი სახე: ნიადაგური (გეოპონიკა), წყლით, ან ინვერტული სუბსტრატებით (ჰიდროპონიკა) და დატენიანებული ჰაერით (აეროპონიკა).

ნიადაგი აკუმულირებს უკეთეს საკვებ ელემენტებს და შემდეგ აწვდის მცენარეებს წყალსა და საკვებს, ამიტომ მუშაობა მასთან ადვილია, მაგრამ ნიადაგი ნაყოფიერების და სანიტარული მდგომარეობის შენარჩუნებისთვის მოითხოვს ბევრ შრომით და ფინანსურ დანახარჯებს. ჰიდროპონიკის უპირატესობა გამოიხატება ყველა საკვები ელემენტის ავტომატური მიწოდების შესაძლებლობაში, რომელიც ოპტიმალურია მცენარის ზრდისათვის. ჰიდროპონიკა გამორიცხავს სათბურში ნიადაგიდან მავნებლებისა (ნემატოდა) და დაავადებების (ფესვის სიდამპლე, ფუზარიოზი) გავრცელებას. ეს თავისთავად ამცირებს მცენარეთა დაცვის საშუალებების ნორმებს და იძლევა უკეთესი ხარისხის მოსავლის მიღების საშუალებას. ჰიდროპონიკური კვების დროს აუცილებელია მცენარეთა გამოკვება ნახშირორჟანგით (CO₂), რომლის დღე-ღამური დანახარჯი ერთ კვადრატულ მეტრზე შეადგენს 50-100 გრამს. ამას ემატება მინერალური სასუქების ხარჯი საშუალოდ 20 ტონა ერთ ჰექტარზე. სუბსტრატის სახით გამოიყენება სხვადასხვა ორგანული და მინერალური მასალები - წყალი, ტორფი, ქვიშა, გრავილი, ნახშირი, ქოქოსის ფუჩქი, პერლიტი და ვერმიკულიტი.

iii. სასათბურე ჯიშების დახასიათება

ქვემოთ მოყვანილია სასათბურე პომიდორის, კიტრის, წიწაკის და მარწყვის გამორჩეული ჰიბრიდები, რომლებიც ადაპტირებული არიან ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან. ჯიშების და ჰიბრიდების შერჩევის მთავარი კრიტერიუმებია: უხვი და ერთგვაროვანი მოსავალი, უმაღლესი ხარისხის ნაყოფი, სიცვიისადმი და სტრესებისადმი გამძლეობა, გემო და არომატი. ყველა მათგანს ახასიათებს შენახვის უნარიანობა და ტრასპორტაბელურობა.

პომიდორი

Big Beef F1

ბიგ ბიფი - საადრეო, სასალათე დანიშნულების სასათბურე პომიდორის ჰიბრიდია. მისი მცენარე არის ჯანსაღი და ძლიერ მზარდი, მტევნებს შორის აქვს მოკლე დაშორება, იძლევა ადრეულ, თანაბარი ზომის დიდ ნაყოფებს და უხვ მოსავალს. ბიგ ბიფის ნაყოფი არის ოდნავ ნაოჭიანი და დაბრტყელებული მომრგვალო ფორმის, აქვს მიმზიდველი წითელი ფერი, განსაკუთრებულად აღსანიშნავია მისი გემო და საუკეთესო არომატი.

Jaguar F1

იაგუარი - ახალი თაობის საადრეო, მაღალმოსავლიანი სასათბურე პომიდორის ჰიბრიდია. განსაკუთრებით შთამბეჭდავ შედეგებს იძლევა ცელოფნის სათბურში. მისი მცენარე არის გამორჩეულად სიცივე/სიციხე ამტანი. ის მწიფობაში შედის გადარგვიდან 75-70 დღეში. იაგუარის ნაყოფი არის ერთგვაროვანი, ოდნავ ნაოჭიანი, საშუალო ზომის, წონით 180-200 გრამი, აქვს ინტენსიური წითელი ფერის რბილობი. იაგუარს გააჩნია მწვანედ „მრეშად“ მოკრეფის შემდეგ დამწიფების არაჩვეულებრივი უნარი, რაც პროდუქტის დიდი დროით შენახვის და შორ მანძილებზე ტრანსპორტირების საშუალებას იძლევა.

Bele F1

ბელე - ფართოდ გავრცელებული, მეზოსტენოთათვის ცნობილი საადრეო ჰიბრიდი. გამოირჩევა სტაბილური მსხმოიარობითა და სტრესის მიმართ მაღალი მედეგობით. აქვს ძლიერი მცენარე მოკლე მუხლთშორისებით. ერთგვაროვანი, მკვრივი, მუქი წითელი ფერის შესანიშნავი ხარისხის ნაყოფი. წონა 180-220 გრ. მაღალპროდუქტიული, დიდხანს ინარჩუნებს სასაქონლო იერსახეს და ტრანსპორტირების უნარს. რეკომენდებულია მინისა და პლასტიკურ საფარიან სათბურებში გრუნტზე მოსაყვანად მოკლე ბრუნვის პირობებში.

Monro F1

მონრო – საადრეო, მძლავრი ჰიბრიდი. მომრგვალო ფორმის, მკვეთრი წითელი ფერის ნაყოფი, 180-220 გრ. წონის. აქვს შესანიშნავი სასაქონლო სახე. ახასიათებს მაღალი პროდუქტიულობა, მიუხედავად მოვლა-მოყვანის პირობების მკვეთრი ცვალებადობისა. რეკომენდებულია გრუნტზე მოსაყვანად მოკლე ბრუნვისათვის ყველა ტიპის სათბურში.

კიტრი

Aliaga F1

ალიაგა - კიტრის საადრეო სასათბურე ჰიბრიდი. არის ჯანსაღი, ამტანი, ძლიერ მზარდი მცენარე, ნაყოფი ღია მწვანე ფერის, ცილინდრული ფორმის, სუფთა, ხრამუნა, საუკეთესო გემოსი (ბოლოებში ყოველგვარი სიმწარის გარეშე), 16–18სმ. სიგრძის, აქვს აღმოცენების მაღალი პროცენტული კოეფიციენტი და განსაკუთრებული უხვმოსავლიანობით გამოირჩევა. რეზისტენტულია დაავადებების მიმართ: ნაცარი (PM), ჭრაქი (DM), მოზაიკური ვირუსი (CMV), კლადოსპორიოზი (ქეცი-Sc), ანთრაქნოზი (A), ფოთლის კიდეების ბაქტერიული ლაქიანობა (ALS). ადვილად იტანს ტრანსპორტირებას, ინახება კარგად და ხანგრძლივი შენახვის დროსაც არ კარგავს გემოს და ვიზუალურ მახასიათებლებს (არ რბილდება). დამტკვერვისათვის არ ესაჭიროება ფუტკარი (უფუტკროა). აქვს გამორჩეული გემო და მიმზიდველი შესახედაობა.

Sultan F1

სულთნი - კიტრის საშ. საადრეო სასათბურე ჰიბრიდი, არის მაღალი, ჯანსაღი, ძლიერმზარდი მცენარე. ნაყოფი მუქი მწვანე ფერის, სუფთა, ხრამუნა, წვნიანი, გამორჩეული გემოსი (ბოლოებში ყოველგვარი სიმწარის გარეშე), 18–25სმ. სიგრძის, კარგად იტანს ტრანსპორტირებას, ხანგრძლივი შენახვის დროს არ რბილდება, არ კარგავს გემოს და ვიზუალურ მახასიათებლებს. მდგრადია დაავადებების მიმართ: ჭრაქი (DM), ნაცარი (PM), ანთრაქნოზი (A), კლადოსპორიოზი (Sc), ფოთლების ბაქტერიული ლაქიანობა (ALS), ვირუსების რამდენიმე სახეობა (მოზაიკის ვირუსი CMV, WMV, ZYMV, PRSV). განსაკუთრებულად უხვმოსავლიანი ჰიბრიდია, აქვს აღმოცენების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი, საუკეთესო გემო და მიმზიდველი შესახედაობა.

Socrates F1

სოკრატესი - იდეალურად დაბალანსებული, გენერატიული ტიპის მცენარე. ახასიათებს მაღალი პროდუქტიულობა, ადრეული და თანაბარი მოსავლიანობა. მუხლში ინვიტარებს ერთ, იშვიათად 17-20 სმ. სიგრძის ორ ნაყოფს. გამძლეა კლადოსპორიოზისა და ნაცრის მიმართ. რეკომენდებულია ყველა ტიპის სათბურში მოსაყვანად, ძირითადად, პირველ ბრუნვაში.

Revolution F1

რევოლუცია - იდეალურად დაბალანსებული, გენერატიული ტიპის მცენარე. ახასიათებს მაღალი პროდუქტიულობა, ადრეული და თანაბარი მოსავლიანობა. მიეკუთვნება ე.წ. შუშა კიტრის ჯგუფს და ამიტომ პოპულარულია ადგილობრივ ბაზარზე. რეკომენდებულია ყველა ტიპის სათბურში მოსაყვანად, ძირითადად, პირველ ბრუნვაში.

Evolution F1

ევოლუცია - იდეალურად დაბალანსებული, გენერატიული ტიპის მცენარე. მწიფობაში შედის 45 დღეში. ახასიათებს მაღალი პროდუქტიულობა, ადრეული და თანაბარი მოსავლიანობა. მიეკუთვნება ე.წ. შუშა კიტრის ჯგუფს და ამიტომ პოპულარულია ადგილობრივ ბაზარზე. რეკომენდებულია ყველა ტიპის სათბურში მოსაყვანად, ძირითადად, პირველ ბრუნვაში.

Caucasus F1

კავკასია - იდეალურად დაბალანსებული, გენერატიული ტიპის მცენარე. მწიფობაში შედის 45 დღეში. ახასიათებს მაღალი პროდუქტიულობა, ადრეული და თანაბარი მოსავლიანობა. მიეკუთვნება ე.წ. შუშა კიტრის ჯგუფს და ამიტომ პოპულარულია ადგილობრივ ბაზარზე. რეკომენდებულია ყველა ტიპის სათბურში მოსაყვანად, ძირითადად პირველ ბრუნვაში.

წიწაკა

Maratos F1

მარატოსი - საადრეო, მაღალმოსავლიანი, მძლავრი ჰიბრიდი მსხვილი, ხასხასა წითელი ფერის ნაყოფით. ნაყოფის დიამეტრი - 80-85 მმ. კარგად იტანს მაღალ ტემპერატურას. რეკომენდირებულია ყველა ტიპის სათბურში და ღია გრუნტში მოსაყვანად.

Dalas F1

დალასი - მაღალპროდუქტიული ჰიბრიდი. ღია ტიპის მძლავრი მცენარე. კარგი ჩაკვირტვა-მსხმოიარობა მაღალი ტემპერატურის პირობებში. მკვრივი, სქელკედლიანი ნაყოფი 80 მმ დიამეტრითა და 120 მმ სიგრძით. ინარჩუნებს სიმკვრივეს სრული სიმწიფის მიღწევისა და გაჯერებული წითელი ფერის მიღებამდე. შესაძლებელია ჰიბრიდის მოყვანა სათბურსა და ღია გრუნტში.

Jypsy F1

ჯიპსი - საადრეო, მაღალმოსავლიანი, მძლავრი ჰიბრიდი კონუსური ფორმის, ხასხასა წითელი ფერის ნაყოფით. კარგად იტანს მაღალ ტემპერატურებს. რეკომენდირებულია ყველა ტიპის სათბურში და ღია გრუნტში მოსაყვანად.

Albatros F1

ალბატროსი - საადრეო, მაღალმოსავლიანი, მძლავრი ჰიბრიდი კონუსური ფორმის, ღია მწვანე ფერის ნაყოფით. კარგად იტანს მაღალ ტემპერატურას. რეკომენდირებულია ყველა ტიპის სათბურში და ღია გრუნტში მოსაყვანად.

მარწყვი

San Andreas

სან ანდრეასი - მსხვილნაყოფა, რემონტანტული ჯიში. ნაყოფი - ღია წითელი შეფერილობის, მსხვილი, მკვრივი. მოსავალს იძლევა უწყვეტად, მთელი წლის განმავლობაში. ჯიში გამოირჩევა ამინდის ცვალებადობის მიმართ გამძლეობით. გამძლეა დაავადებების და მავნებლების მიმართ. გამოდგება სათბურში მოსაყვანად.

Albion

ალბიონი - მსხვილნაყოფა, რემონტანტული ჯიში. ძალიან ჰგავს სან ანდრეასს. ნაყოფი - ღია წითელი შეფერილობის, მსხვილი, მკვრივი. მოსავალს იძლევა უწყვეტად, მთელი წლის განმავლობაში. ჯიში გამოირჩევა ამინდის ცვალებადობის მიმართ გამძლეობით. გამძლეა დაავადებების და მავნებლების მიმართ. გამოდგება სათბურში მოსაყვანად.

iv. წვეთოვანი მორწყვა და ფერტიგაცია

სათბურში საკვების და წყლის ერთდროულად მიწოდებას უზრუნველყოფს პროგრამა. საკვების ხსნარის მომზადება ხდება სპეციალური დოზირების კვანძებში, სადაც, აგრეთვე, რეგულირდება მცენარისათვის საჭირო რაოდენობით საკვები ხსნარის მიწოდება. საკვები ელემენტების ასათვისებლად სუბსტრატის მჟავიანობის ოპტიმალური რაოდენობაა 5,6-5,8 (pH).

ცხრილი 6: წვეთოვანი მორწყვის სისტემის ექსპლუატაციისას საჭირო საკვები ელემენტების ოდენობა (გრამი/მ3)

ზრდის ფაზა	N	P	K	Ca	Mg
გადარგვის პირველი პერიოდი	120-150	40-50	180-220	100-120	40-50
ყვავილობა და ნაყოფის ფამონასკვა	150-180	40-50	220-270	100-120	40-50
მომწიფების დასაწყისი და კრეფვის პერიოდი	180-200	40-50	270-300	100-120	50-80

წვეთოვანი სისტემა უზრუნველყოფს თითოეული მცენარისთვის პირდაპირ ფესვთა სისტემაში ოპტიმალური რაოდენობის საკვები ნივთიერების მიწოდებას მცენარის განვითარების სტადიის შესაბამისად. ეს ტექნოლოგია მინიმუმამდე ამცირებს საკვები ელემენტების დანაკარგს და დაავადებების გავრცელების საშიშროებას. სისტემა აღჭურვილია პროგრამით, რომელიც აკონტროლებს წყლის რაოდენობას, მახასიათებლებსა და საკვები ელემენტების შემადგენლობას. იმ შემთხვევაში, თუ წვეთოვანი სარწყავი სისტემაში წყლის მიწოდების წყაროდ გამოიყენება მდინარე, ან სარწყავი არხი, წყალი აუცილებელია ამ სისტემის ე.წ. ქვიშის ფილტრებით აღჭურვა, რათა საწვეთურებში მაქსიმალურად გაფილტრული წყალი გავიდეს მათი გაზიდვის თავიდან აცილების მიზნით.

v. დამტვერვა

მცენარეთა დამტვერვის გასაუმჯობესებლად მათი შერჩევა უმჯობესია ჩატარდეს 10-დან 14 საათამდე, ჰაერის 70%-იანი ფარდობითი ტენიანობის პირობებში. დამტვერვისთვის იყენებენ სპეციალურ „ბიობის“ ფუტკრებს, რომელთა წარმოებაც და რეალიზაციაც ხდება სპეციალურად სასათბურე მეურნეობებისთვის. ისინი გაცილებით სწრაფად ამტვერიანებენ მცენარეებს და შეუძლიათ დაბალი ტემპერატურის და მაღალი ტენიანობის პირობებში მუშაობა.

vi. მწვანე ოპერაცია

პირველ მტევანზე ნაყოფის მოცილებისთანავე იწყება ქვედა ფოთლების მოშორება (მწვანე ოპერაცია). ჯერ ამორებენ გაყვითლებულ, დაბერებულ, შემდეგ კი მწვანე ფოთლებს. ეს პროცესი აუმჯობესებს აერაციას, ზრდის განათების არეალს და აადვილებს ირიგაციას და მოსავლის აღებას. ფოთლების მოშორებისას გასათვალისწინებელია, რომ მცენარეზე უნდა დარჩეს მინიმუმ 14-16 ფოთოლი.

vii. სათბურის გათბობა

სათბურს გათბობა ესაჭიროება ოქტომბრიდან მაისამდე. გათბობის ხანგძლივობა დამოკიდებულია წარმოებულ კულტურების ჯიშებზე და მერყეობს 195-დან 210 დღემდე. სათბურის თბება კალორიფერების, ან ცხელი წყლის მილების (საორთქლებლების გამოყენებით), ან ორივე მეთოდის კომბინაციის საშუალებით. წყლის გასათბობად იყენებენ მყარ და თხევად საწვავზე მომუშავე ორთქლის გენერატორს. საქვამე მუშაობს მყარ საწვავზეც და ბუნებრივ აირზეც (ე.წ. ფორსუნკები). მყარი საწვავის სახით შეიძლება თხილის ნაჭუჭის (საკმაოდ მაღალი წვის კოეფიციენტი) და ნახშირის გამოყენება. აუცილებელია დაზღვევის მიზნით ბუნებრივი აირის მოწოდების უზრუნველყოფაც. განვითარებისთვის პომიდორს და მარწყვს მაღალი, ხოლო, კიტრს და წიწაკას შედარებით დაბალი ტემპერატურა ესაჭიროება.

viii. განათება და დამცავი ეკრანი

განათებას დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეების ზრდა-განვითარებისათვის. დამატებითი განათება ღამის საათებში (განათების ხელოვნური გახანგრძლივება) აჩქარებს ფოტოსინთეზს, რის შედეგადაც მცენარეები ბუნებრივთან შედარებით რამდენჯერმე სწრაფად იზრდებიან და იძლევიან მოსავალს. ამ მეთოდს იყენებენ მთელი წლის განმავლობაში. ის განსაკუთრებით სწრაფ შედეგს იძლევა ჩითილებისა და ნერგების გამოყვანისას. განათებაზე დახარჯული ენერგიის შემცირება შესაძლებელია "თეთრი შუქიდან" მცენარეებისათვის სხვადასხვა ეტაპზე საჭირო განათების სპექტრის გაფილტვრის შედეგად. მაგალითად: დადგენილია, რომ ღეროსა და ფოთლების სწრაფი ზრდა-განვითარებისათვის მცენარეს ესაჭიროება ლურჯი ტალღის სხივები, ნაყოფის ზრდა და მწიფებისათვის – ნარინჯისფერი, მწვანე სპექტრის სინათლის სხივები კი მცენარეთა უმრავლესობისათვის უსარგებლოა (ამიტომაც არის უმეტესი მცენარის ფოთოლი მწვანე).

ix. მოსავლის აღება და დაფასოება

მოსავლის აღების შემდგომი დამუშავების ტექნოლოგია დამოკიდებულია სასათბურე მეურნეობის წარმადობაზე. სამ ჰექტარზე მეტი ფართობის მეურნეობაში, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა დასახელების ბოსნტეულს, სასურველია, მოეწყოს ავტომატიზირებული

აკალიბრებელი და დასაფასოებელი ხაზი, რომელიც ავტომატურ რეჟიმში ახდენს პროდუქციის დახარისხებას, დაკალიბრებას და შეფუთვას. სამ ჰექტრამდე ფართობის მქონე მეურნეობაში აღნიშნული ხაზის შეძენა საჭირო არ არის და ეს ოპერაციები შეიძლება გაკეთდეს ჰიგიენური ნორმების დაცვით ამენებულ მშრალ საწყობში (ე.წ. დამხმარე სათავსო). იმის გათვალისწინებით, რომ არასეზონური ბოსტნეულის წარმოება ხდება ზამთრის და გაზაფხულის პირობებში, არ არის მიზანშეწონილი სამაცივრე სისტემების მონტაჟი. პომიდორის შემთვევაში განსაკუთრებით მკაცრი კლიმატის პირობებში (რაც აჭარის დაბალ ზონებში ფაქტიურად არ გხვდება) შესაძლებელია ყინვის დროს მზა პროდუქციის შესანახ საწყობს დასჭირდეს გათბობა, მოყინვის თავიდან აცილების მიზნით.

ცხრილი 7: სათბურის ბოსტნეულის შენახვის ოპტიმალური პირობები

პროდუქტი	ტემპერატურა °C	ფარდობითი ტენიანობა %	შენახვის ხანგრძლივობა დღე
კიტრი	7–12	85–100	7–10
ტკბილი წიწაკა	7–10	85– 90	8–21
პომიდორი (მწიფე)	6–8	85– 95	3–7
მარწყვი	-0.5–0	85–100	5–14

მოცემული ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ბოსტნეული კულტურების ერთად შენახვა შესაძლებელია. მარწყვის შემთვევაში კი შენახვისუნარიანობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით აუცილებელია მისი სამაცივრე პირობებში მოთავსება.

x. სარეალიზაციო არხები

სარეალიზაციო არხი	რეალიზაციის მოცულობა	შენიშვნა
ექსპორტი	0%	ექსპორტზე პროდუქციის ტრანსპორტირება ხორციელდება ფურებით (18 ტონა ნეტო). 1 ჰექტრიანი სათბურის პირობებში კვირაში საშუალოდ დაიკრიფება 20-25 ტონა პროდუქცია რაც მცირე მოცულობაა ექსპორტის შემთვევაში.
საბითუმო ბაზრები	30%	ამ მიმართულებით რეალიზაცია მოხდება თბილისის საბითუმო ბაზრებზე. შესაძლებელია კომპანიამ აიღოს საწყობი ცენტრალურ ბაზარზე (ე.წ. დეზერტირის) სადაც მოახდეს პროდუქციის რეალიზაციას. გასათვალისწინებელია რომ ადგილობრივი მინი მარკეტები სწორედ ცენტრალურ ბაზარზე იძენენ პროდუქციას
მეზითუმე/იმპორტიორი	45%	არსებული მასშტაბის მწარმოებლისთვის არის იდეალური ვარიანტი გამოიყენოს იმპორტიორის ან ადგილობრივი მეზითუმის სარეალიზაციო არხი მაგ: აიკონ ჯგუფი დისტრიბუციას ანხორცილებდა ბანანების იმპორტიორი შპს ფორას მეშვეობით.
საცალო სავაჭრო ქსელები	20%	საცალო სავაჭრო ქსელებში იყიდება ადგილობრივი პროდუქცია, ხარისხის მიხედვით საკმაოდ კარგ ფასებში. მწარმოებელმა უნდა გაითვალისწინოს მიწოდების უწყვეტობა, ხარისხი და გადახდის პირობები (საშუალოდ 15 -30 დღე).
კვების ობიექტები/სასტუმროები	5%	კვების ობიექტები და სასტუმროები ხშირ შემთვევაში უპირატესობას ანიჭებენ დაბალ ფასს, სწორედ ამიტომ მათი უმრავლესობა არასეზონზე იყენებს თურქეთიდან იმპორტირებულ პროდუქციას.

V. ფინანსური მაჩვენებლები

i. წარმოების ფიქსირებული ხარჯები

ზედნაღები ხარჯები	ერთეულო	რაოდენობა	ერთეულის ზნაი (GEL)	სულ (GEL)
ღირექტორი	თვე	12	2 500,00	30 000,00
გაყიდვების მენეჯერი	თვე	12	2 000,00	24 000,00
მთავარი აგრონომის ხელფასი	თვე	12	2 000,00	24 000,00
თანაშემწე	თვე	12	1 000,00	12 000,00
დაცვის ხელფასი	თვე	12	500,00	6 000,00
ბუღალტერი	თვე	12	300,00	3 600,00
